

საქორწინო ლექსიკა და საბოვანი თქმები ტაო-კლარჯულში

WEDDING VOCABULARY AND FIGURATIVE EXPRESSIONS IN TAO-KLARJETIAN DIALECTS

ელზა ფუტკარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
ბათუმი, საქართველო

Elza Putkardze

Batumi Shota Rustaveli State University
Niko Berdzenishvili Institute
Batumi, Georgia

ABSTRACT

The interest in the vocabulary of Tao-Klarjetian dialects remains relevant as the linguistic landscape of this region continues to change under the influence of the Turkish language. Even though there are many articles or monographs on the above-mentioned issue, a field-specific analysis of the vocabulary and a comparison with the data of other dialects would provide a more complete understanding of the lexical peculiarities of the dialect. From this perspective, it is interesting to observe the vocabulary related to such stable institutions as marital relations and traditions. A number of interesting lexical units and figurative expressions were revealed, which are not only significant from a lexicological standpoint but also hold importance from an ethnoculturological perspective.

In addition to the aforementioned factors, the Tao-Klarjetian dialects are strongly influenced by the Turkish language on a daily basis. Consequently, documenting and examining every surviving lexical unit remains an important, urgent, and relevant issue.

In the analysis of lexical units, we rely on texts recorded by us during the period of 2004-2018 and those existing in scientific circulation.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ტაოკლარჯული დიალექტები, ქართული დიალექტური ლექსიკა, საქორწინო ლექსიკა.

Keywords: Georgian language, Tao-Klarjetian dialects, Georgian dialect vocabulary, wedding vocabulary.

ტაო-კლარჯული ლექსიკა მრავალმხრივ სახასიათოა. იქაურ ქართველთა მეტყველებაში ჯერ კიდევ ისმის არქაული სიტყვები, საერთოქართველური ლექსემები, საკუთრივ ლექსიკური დიალექტიზმები და, ბუნებრივია, გვხვდება უცხოენოვანი ლექსიკა. დარგობრივ ლექსიკას სხვადასხვა კუთხით მნიშვნელოვანი არაერთი სიტყვა თუ გამოთქმა დაუცავს. ტრადიციათა შორის იქაც საქორწინო ურთიერთობები თუ წეს-ჩვეულებები საკმაოდ მყარი ინსტიტუტია. შესაბამისად, მასთან დაკავშირებული ლექსიკა არა ოდენ ენათმეცნიერული, ლექსიკური, არამედ ეთნოკულტუროლოგიური მიმართებითაც კვლევის საინტერესო ასპექტია. უფრო მეტიც, შესაძლებელია საქორწინო ურთიერთობის ესა თუ ის წესი დავიწყებული იყოს, მაგრამ გადარჩენილია ლექსიკური ერთეული, რომელიც ისტორიული მეხსიერების, წეს-ჩვეულების არაერთ საინტერესო ნიუანსს ინახავს.

ტაო-კლარჯული ლექსიკა იმთავითვე გახდა მეცნიერთა კვლევის საინტერესო საგანი. აღნიშნულ საკითხს ეხება შ. ფუტკარაძის, მ. ფაღავას, ე. დადიანისა და სხვათა სტატიები. ჩვენი მიზანია ერთ კონკრეტულ დარგთან, კერძოდ, ქორწინებასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების განხილვა, რითაც უფრო სისტემური და შედარებით სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნება ამ დარგის ლექსიკასა და საქორწინო ტრადიციაზეც.

ეპოქალური ცვლილებები, კულტურათა ურთიერთობა-დიალოგი, ღირებულებებისადმი დამოკიდებულების განსხვავებულობა, ბუნებრივია, ცვლის საქორწინო წეს-ჩვეულებებს. ტრადიციული ქორწინება ქორწინების თანამედროვე ფორმამ ჩაანაცვლა. ლექსიკითაა გადარჩენილი ისეთი წესები, როგორიცაა ნიშანლობა, აკვანში დანიშვნა და სხვა. თუმცა ჩვენივე ყოფის, კულტურის, ტრადიციის ისტორიულ ჭრილში აღსაქმელად აუცილებლად გასათვალისწინებელი ასპექტია ამ სახის ლექსიკაზე დაკვირვება. ამ მხრივ უთუოდ საინტერესოა საქორწინო ლექსიკა თუ ხატოვანი თქმები, ტაო-კლარჯული მეტყველებით შემონახული. საკითხის განხილვისას ვეყრდნობით 2004-2018 წლებში ჩვენ მიერ ჩაწერილ და, ასევე, სამეცნიერო მიმოქცევაში არსებულ ტექსტებს.

საინტერესო ლექსიკური ერთეულია **დაკვლევა**, რაც საპატარძლოს და სასიძოს შერჩევას ნიშნავს. აქვე დავძენთ, რომ თეიმურაზ მეორე „სარკე თქმულთაში“ დაწვრილებით აგვიღწერს ამ წეს-ჩვეულებას: საპატარძლოს სახლში მოწვეულ სასიძოს ლამაზად ჩაცმულ-დახურულ სადედოფლოს დაუსვამდნენ წინ და ახალგაზრდებს საშუალებას ამლევდნენ, ერთმანეთისათვის კარგად შეეცლოთ თვალი (შოიშვილი 2016: 405).

საცოლედ შერჩეულ ქალს კლარჯეთში ეძახიან **დაპირებულ**, **ნათქვამ**, **დაგულვებულ**, **თვალჭირულს**, იმერხევში – **თვალნაჭირავს**. ამიერთაოს ქობაის ხევში კი საცოლედ შერჩეულ ქალზე ამბობენ: **მეიკადრეს // დეიპირეს ქალი ან დასოზებული ქალი** (söz – თურქ. დაფიცება): „ჩემ დედას დაპირებული, ნათქვამი ქალია“, „სახლის უკან საგულე, ერთი ფაცოდ დევგულე“ (ფაღავა... 2016: 405); „მოითხოვს ადამისთან ჩემი თავი, ბგანოს, თუ მიცემს ალა ბგანოს, იქნებიან დასოზებულები“. აღნიშნული შინაარსის გადმოსაცემად უფრო ხშირად თვალის დაჭირვა, თვალჭირული ლექსიკური ერთეული გამოიყენება. ასევე, გვხვდება **გოგოის დაწონება**:

„დაწონდა გოგო“. შდრ.: აჭარული: „თვალდადგმული ქალი“ // „თვალის დაკავება“ // „გოგოზე თვალის ქონა“.

შუამავლის მიერ საქმის სასიკეთოდ გადაწყვეტისას ამბობენ: **საქმის გაწყობა // საქმის გასწორება**: „ჩემ ზგანოს საქმემ გამეიწყო და დუგუნი იქნება“, „ჩემ ემიას გოგოს საქმე ვერ გასწორდა, არ იჯება“. შდრ.: აჭარული: საქმე მოვჭარით // ამბავს თავი მუუთიკრეთ.

ნიშან-თახუმის მიტანა // ბოხჩის მიტანა (bohça – თურქ. მოკრულა, ფუთა) – საპატარძლოსთვის მისატანი აუცილებელი საჩუქრებია სასიძოს ოჯახიდან. შდრ.: აჭარული ბოხჩა-ნიშანი (ნიჟარაძე 1971).

სახასიათო ლექსიკური ერთეულია ნიშანლობა, ნიშანლათ სიარული: „ნიშანლი იქნებოდა, უჩუმ-ჩუმად მივდოდა სიძე, უჩუმაი“, „ჩემ დედემ ნიშანლათ იარა“. ეს იყო დანიშნულთან სიარული ღამისთევით. ეს წესი აჭარაშიც იყო გავრცელებული (მსხალაძე 1966: 73). შდრ.: აჭარული: სასიძოს ეძლეოდა უფლება დანიშნის შემდეგ სასიძამროს ოჯახში ღამე გაეთია. ოჯახის ხელმოკლეობის გამო ან სხვა რაიმე მიზეზით, ზოგჯერ ქორწილი დიდხანს ვერ გაიმართებოდა. ამ შემთხვევაში არსებობდა ნიშანლობის წესი (ნოღაიდელი 1979: 12; ჩელებაძე 2005: 157). ვაჟი ჩუმად უნდა შეპარულიყო გოგოს ოჯახში, არ უნდა დაენახათ. თუმცა ოჯახის ქალებმა იცოდნენ ეს. ზოგჯერ ხდებოდა ისე, რომ ქორწილამდე ჩნდებოდა ბავშვი. ასე გაჩენილ ბავშვს **სასელას** ეძახდნენ. იმერხევში აღნიშნული შინაარსით დაფიქსირდა ლექსიკური ერთეული **ნაადრევაი**: „ნაადრევაი გაჩდა“. სასელა აჭარაში გავრცელებული ერთ-ერთი ნაადრევი ჯიშის მსხალია, ადრე გაზაფხულზე შემოდის. ქორწილამდე „ნაადრევად“ დაბადებული ბავშვის სახელწოდებად ეს ტერმინიც გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენებოდა. სხვადასხვა გარემოებათა გამო ქორწილს ზოგჯერ ვიწრო და სახელდახელო ხასიათი ჰქონდა. ასეთ ქორწილს ტურაქორწილს ეძახდნენ (ნოღაიდელი 2015: 152).

ამ სახის ლექსიკიდან გამოვყოფთ ერთ, ასევე საინტერესო ლექსიკურ ერთეულს – **ბორდა ბალიში // მუჟდა/მუჟდე ბალიში** (Borda – თურქ. მხარდამხარ, გვერდით, mujde – სპარს. სასიხარულო ცნობა). ბორდა ბალიში // მუჟდე ბალიში – ეს არის სამახარობლო ბალიში სამუდამო მეგობრობის, ერთად, მხარდამხარ ყოფნის სიმბოლო. ამ ბალიშს ამზადებს საპატარძლო – ნაქარგებით, მაქმანებით, ციცაქალებით. ქორწილის დღეს ეს ბალიში სიძის ოჯახში მიაქვს საპატარძლოს ძმას. სასიძოს ეზოში მისულ მაყარს სიძე ხვდება და ეპატიჟება. ამ დროს საპატარძლოს ძმა სახალხოდ მუჟდე ბალიშს ისვრის სიძის მიმართულებით. სიძეს უნდა დაეჭირა ბალიში. ბალიშის ძირში დავარდნა სიძის შერცხვენა იყო, ცუდის მომასწავლებელი ნიშანი იყო (ფუტკარაძე 1993: 517).

სასიძოს მახარობელს, მაყრის მოახლოების მახარობელს ანუ მახარებელს იმერხევში **მელაი** ჰქვია: „მელაი წავა წინ მუჟდაზე. მელას დაჰკიდვენ ქათამს, წითელ მენდილ გამოაკოჭებენ ცხენზე. მელაი გზაში ნავალს წამეიღებს მაყართან. მაყარსნა მიართვას ნავალი საჭმელი“ ან: „მაყარი, მექორწილე სოფელს რომე მუახლოვდება, მელაი (ერთი კაცი) გეიქცევა წინ და სიზეს უმახარობლებს. სამახარებლოს მისცემენ ქადას, ქათამს. გამობრუნდება ისვენ მაყართან და ამ ნაჩუქვარს აჭმევს მათაც“

(ფუტკარაძე 1993: 248, 503). ბუნებრივია, ასეთი მახარობელი მოხერხებული, მოქნილი უნდა იყოს და, შესაბამისად, მას გადატანით მელას ეძახიან.

ფეხნაქცევობა – ქორწინების შემდეგ დედოფლის მისვლა მამისეულ ოჯახში. ესეც საქორწინო ცერემონიალის შემდგომი ეტაპის ერთ-ერთი ტრადიციაა: „ფეხნაქცევობაზე ერთი კვირის მერე მოდიოდა დოდოფალი, ბაბოს სახში ტათლი მოიტანდა“. პარალელურად გვხვდება ტერმინი **ფეხისაკოცნელი**: „თხუთმეტ დღე უკან წავლენ ანასთან ფეხისაკოცნელი (ფუტკარაძე 2009: 54). შრდ.: მესხური, ჯავახური ფეხის ბრუნება (მაისურაძე 1954; ბერიძე 1981).

სამძუპური – სასიძო ქორწინების წინ საპატარძლოს დედას აჩუქებს გარკვეული რაოდენობის თანხას იმის სამაგიეროდ, რომ ძუძუ აწოვა დედოფალს. ამას სამძუპურს ეძახიან.

კარის დასაყრელი // კარის დაჭირვა: „კარის დასაყრელი ფარა აართვეს მამამთილს. კარინა დოუყარონ, ფარა, დადა ყოჩი აართვანა. გამეიყუანეს კარზე დოდოფალი“; „მაყარი კარსა იჭირვენ ძალის გამოსაყვანად, დანას მისებენ, ფული მიცა, გეიაროს“ (ფუტკარაძე 1993: 248). დედოფლის სახლიდან გამოყვანამდე პატარძლის ახლობელი, ძირითადად მმა, ბიძაშვილი, ზოგჯერ ბებია, ჩაკეტავდა იმ კარს, საიდანაც დედოფალი უნდა გამოეყვანათ. სამამამთილოს ან ნეფის დადეს აქაც ფული უნდა გადაეხადა. ამას კარის დასაყრელს ან კარის დაჭირვას ეძახიან. ანალოგიურად აჭარაში **კარის დასაყრელს, კარის დასამყრელს**, კარის დასამკეტოს, კაფიხარჯს (თურქ. Kapi –კარი) უწოდებდნენ (ნოღაიდელი 2017: 347).

სუფრის დაჭირვა – ესეც ქორწილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. დედოფლის მაცრები ითხოვდნენ მასპინძლისაგან სხვადასხვა, ძნელად მოსამზადებელ კერძებს, ან სხვა რამეს. სანამ არ შეუსრულებდნენ მოთხოვნას, მაცრები სუფრიდან არ ადგებოდნენ. ამ წესს სუფრის დაჭირვას ეძახიან. იციან შავშეთში. ეს საკმაოდ გავრცელებული წესი იყო აჭარაში და „სუფრის დაკავებას“ ეძახიან. ასევე, აჭარაში **რუსუმის, გევეზობის** სახელწოდებითაცაა ცნობილი. შდრ.: აჭარული: „მაცრები ამწვალბენ მასპინძელს, ჭირვეულობენ, სუფრას უწუნებენ, ახალ-ახალ კერძებს მოითხოვდნენ, გევეზობდნენ. ამ დროს იცოდნენ სიმღერა: „აესა, მამალი ქოსა... ამას ქალის მაცრები ასრულებდნენ. ან სრულდებოდა სუფრული სიმღერა ივერი: „ივერი და ჰარალე“. ეს მხოლოდ საქორწინო სუფრასთან სრულდებოდა. ისევ მაყარი მღეროდა: „ივერი და ჰარალე, მოგვიტანე ქათამიო...“. აქვე ჩნდება ხატოვანი გამოთქმა „**სუფრის ჩუქება**“ (ნიჟარაძე 1971; ნოღაიდელი... 2022: 111). „დაჭირული სუფრის“ გათავისუფლებას ეძახდნენ „სუფრის ჩუქებას“.

აღდი // აღდის ქნა // ნიქაის ქნა: „ნიქაიცნა ქნან, აღდი“, „ქორწილის ღამეს აღდი იქმენ“. ნიქაჰი და აღდი არაბულიდან შემოსული და დამკვიდრებული სიტყვებია ტაოკლარჯელთა მეტყველებაში. ნიქაჰი (არაბ. Nikah) – ქორწინების იურიდიული გაფორმება (ხელმოწერა). აღდი (არაბ. Ahittllahdi) – ფიცი, აღთქმა, ქორწინების რეგისტრაცია, მოვალეობის დაკისრება. ფაქტიურად, ქორწინების იურიდიული გაფორმება ხდებოდა ყადთან (მოსამართლე), რომელსაც ესწრებოდა ხოჯა და სამი მოწმე. ნიქაჰის გაფორმების შემდეგ ქალი ხდებოდა მამაკაცის კანონიერი მეუღლე. შდრ.: აჭარული: აღდის გაჭრა (ნიჟარაძე 1971), აღდის გაკვეთა (ნოღაიდელი 2015).

ხატოვან თქმათაგან საინტერესოა: **გზას სიმღერა დავუძახოთ // გზას სიმღერა შევუკიჟინოთ / დუუკიჟინოთ**. ასევე დასტურდება: **გზას მუზიკაი გუუწიწოთ, გზას ჭიბონი / ჭიბონი ან ტიკი დუუკრათ**. მაყრის მიერ დედოფლის ვაჟის ოჯახში მშვიდობიანად მიყვანის აღსანიშნად, ინფორმატორთა საუბრისას, თავს იჩენს ეს ხატოვანი თქმები. მაყრები სიმღერით გაყვებოდნენ ცხენზე ამხედრებულ დედოფალს. გზაში იმღერებდნენ სხვადასხვა სიმღერას.

ასევე, საინტერესოა ყოფითი რეალობის ამსახველი გამოთქმა: **„ბელის გამოსასყიდში გაცვლილი ქალი // ბელის გამოსასყიდელაი ქალი, ქაინაში (სისხლი) მიცემული ქალი“**. ორ ოჯახს ან გვარს შორის არსებული მტრობის მოსაგვარებლად, მათ შორის სისხლისღვრის აცილების მიზნით, უთანხმოებაში მყოფი ერთი ოჯახის ქალს მეორე ოჯახის ან გვარის ვაჟზე გაათხოვებდნენ. ხდებოდა დამოყვრება-დანათესავება. ამას უწოდებდნენ „ბელის გამოსასყიდელაი ქალს, ბელის გამოსასყიდში გაცვლილ ქალს, ქაინაში მიცემულ ქალს“. ეს აჭარაშიც იცოდნენ და „სისხლში მიცემულ ქალს“ ეძახდნენ. პარალელურად გვხვდება თქმა: მტრობაში მოყვრობის ჩამოგდება (ნოღაიდელი 2017: 346; ნოღაიდელი... 2022: 85).

გზის მოჭრა და სელამეთ ფარა – დედოფლის ოჯახიდან გაყვანისას „გზას გუდუუჭრებენ გოგოს კუთხე, სელამეთ ფარას ვეტყვით, აართმევენ, იგზე იცეკვებენ, გზას გუუხსნიან“. ეს ცნობილი წესია აჭარაშიც.

რაც შეეხება ხატოვან თქმას – **ტიკმა პირი მომუწა** – ეს ქორწილის დასასრულის მაუწყებელი გამოთქმაა. მიგვაჩნია, რომ აჭარულში ანალოგიური შინაარსის გამოთქმაა: **დავლზე ქამარი გამიწყდა**. საპატარძლოს ოჯახში, ქორწილის დასასრულს, ნეფის ხელმომკიდე მოითხოვდა დამკვრელების მოყვანას. დამკვრელები მდადის თხოვნით დაუკრავდნენ, იცეკვებდნენ. ბოლოს დავლის დამკვრელი დავლს ნეფის დადეს დაუდებდა წინ სიტყვებით: „დავლზე ქამარი გამიწყდაო“, ანუ ქორწილის დასასრულია. ვფიქრობთ, ანალოგიური შინაარსობრივი ნიუანსის მატარებელი უნდა იყოს ტაოში შემორჩენილი გამოთქმა: **ტიკმა პირი მომუწა**.

საქორწინო ტრადიციებიდან და შესაბამისი სიტყვა-თქმებიდან ეთნოლინგვისტური კუთხით საინტერესოა **ინის დადება და ყინა გეჯე** (ინის ღამე).

ყინა გეჯეს – ინის ღამეს, რომელიც ქორწილის წინა ღამეს, საღამოსაა, საპატარძლო ხელის გულზე და თითებზე ინას დაიდებს. ამ ინას სიძის ოჯახი უგზავნის. ეს წესიც საქორწინო ცერემონიალის შემადგენელი არქაული სახეა. მართლაც, მნიშვნელოვანი დეტალია ეთნოლინგვისტური კუთხითაც: „ყინა მეიტანე, ანე, თითი დააწე, ანე! ამელამ მუსაფირი ვარ, ჩემ უკან დაწე, ანე! (ფუტკარაძე 2009: 15). ამ დროს მღერიან პატარძლის მამისეული ოჯახიდან გამოსათხოვარ ლექს-სიმღერებს, ქალებს ხელში დანთებული მუმი (სანთელი) უჭირავთ.

რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ინის დადება ავი, ბოროტი სულებისაგან დედოფალის დაცვას ემსახურება. ინის წასმას განსაკუთრებული წესი აქვს, მას წრიულად უსვამენ, რაც მზის სიმბოლიკაზე მიაწინებს (ბარდაველიძე 1953: 130).

როგორც მკვლევარი თ. შიოშვილი მიუთითებს, ძველ საქართველოში ინის დადება ცნობილი იყო. კერძოდ, სასიძოს ულვაშებზე ადებდნენ ინას დები. იქვე იმეორებს ამ წესს თეიმურაზ მეორის შემოქმედებიდან:

„მას ღამეს ხელის საღებლად დაუღბონ ინა სადები,
ქალსა მოსტაცონ ხელშია მუჭითა წერად სადები,
იმ ყმას სამეფოს ულვაშსა უღებენ თავისი დები,

ეტყვიან ძმასა: „დღეს იქით დაგვესო ცეცხლი სადები“ (შიოშვილი 2016: 413).

აქვე აღვნიშნავთ, რომ აჭარულში გავრცელებული ხატოვანი თქმაა: ინა დეიდო ფეხზე. ნიშნავს: შინ ჩაიკეტა, აღარ მოვიდა, აღარ გამოჩნდა. შდრ.: ჯავახ. ინის დადება – გაჯიუტება (ბერიძე 1981).

ტაოკლარჯული საქორწინო ლექსიკა საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ, ბუნებრივია, იქაურთა მეტყველებაში ქართული სიტყვების პარალელურად თურქულენოვანიც ისმის:

გელინი – ძალი / ზალი.

გელინობა – ზლობა / ძლობა.

დუგუნი / დუგუნობა – ქორწილი//ქორწილობა.

ყინა გეჯე – ინის ღამე.

ვალა / შალაქი – დედოფლის თავსაფარი, პირბადე.

ბეჟარი – უდუქორწინებელი.

მუჟდეჯი – მახარობელი.

თაბლი მიტანა – სადილის მიტანა.

ტაოკლარჯელთა მეტყველებაში ქორწინებასთან დაკავშირებული კიდევ უამრავი ლექსიკური ერთეული თუ ხატოვანი სიტყვა-თქმა გვხვდება. ნაშრომში რამდენიმე სახასიათო ლექსიკური ერთეულია მხოლოდ წარმოდგენილი, თუმცა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საქორწინო ლექსიკისა და ტრადიციის თავისებურებათა შესახებ.

ამრიგად, საკვლევი დარგის ლექსიკური კუთხით კვლევა ბევრი ისეთი ტერმინისა თუ ხატოვანი სიტყვა-თქმის გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც კულტუროლოგიური კუთხითაც მნიშვნელოვანია და საინტერესო ეთნოლინგვისტურ ასპექტებსაც გამოკვეთს. გარდა აღნიშნულისა, ტაოკლარჯული კილოები ყოველდღიურად განიცდის თურქული ენის ძლიერ გავლენას და, შესაბამისად, ჯერ კიდევ გადარჩენილი თითოეული ლექსიკური ერთეულის აღნუსხვა-შესწავლა ისევ მნიშვნელოვან, საშურ და აქტუალურ საკითხად რჩება.

გამოყენებული ლიტერატურა

ბარდაველიძე 1953: ბარდაველიძე ვ., ქართული (სვანური) საწესო-გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბილისი, 1953.

ბერიძე 1981: ბერიძე გრ., ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა. თბილისი, 1981.

მაისურაძე 1954: მაისურაძე ი., მასალები მესხური ლექსიკონიდან. შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV. ბათუმი, 1954.

მსხალაძე 1966: მსხალაძე ალ., აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები. ბათუმი, 1966.

ნიჭარაძე 1971: ნიჭარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა. ბათუმი, 1971.

ნოღაიდელი 2015: ნოღაიდელი ჯ., აჭარული კილოს სალექსიკონო მასალა. ბათუმი, 2015.

ნოღაიდელი 2017: ნოღაიდელი ნ., საქორწინო ტრადიციის ამსახველი რამდენიმე ხატოვანი გამოთქმა აჭარულ დიალექტში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, VII. თბილისი, 2017.

ნოღაიდელი... 2022: ნოღაიდელი ნ., ფუტკარაძე ე., ხატოვანი სიტყვა-თქმები აჭარულში. ბათუმი, 2022.

ნოღაიდელი 2015: ნოღაიდელი ნ., ქორწინებისა და ნათესაური სისტემის ეთნოლინგვისტური ასპექტები აჭარაში. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XI. ბათუმი, 2015.

ნოღაიდელი 1979: ნოღაიდელი ნ., ქორწინების ლექსიკა. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, II. თბილისი, 1979.

ფაღავა... 2016: ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ჩოხარაძე მ., შიოშვილი თ., მამულაძე შ., ხალვაში რ., მგელაძე ნ., შაშიკაძე ზ., კარალიძე ჯ., კლარჯეთი. ბათუმი, 2016.

ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი. ბათუმი, 1993.

ფუტკარაძე 2009: ფუტკარაძე, თ. ქორწილი იმერხევში. თბილისი, 2009.

შიოშვილი 2016: შიოშვილი თ., საქორწინო ლექს-სიმღერები; მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, კლარჯეთი, ბათუმი, 2016.

ჩელეზაძე 2005: ჩელეზაძე ნ., ქალი და ოჯახი. თბილისი, 2005.

პირადი არქივი, დიალექტური ტექსტები – ტაო, კლარჯეთი, 2004-2018 წწ.